პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 აგვისტო შაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 195 (14799)

ექვსი წლის წინათ დაამთავრა ო. თოდუამ საავტომობილო ტექნიკუმი და სამუშაოდ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მივიდა. მუყაითი ბიჭი მალე დაეუფლა ამწყობი ზეინკლის პროფესიას და მოწინავეთა მწყობრში ჩადგა. ივი წარმატებით ეწევა სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავ ვახტს და ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. სურათზე: ო. თოდუა. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რთველი კარზეა

ყოველი შემოდგომის დადგომას ოჭროს რთველი მოჰყვება. საქმემეჯერში დაიწყება ჩვენი სახელოვანი მევენახეების თავდადებული შრომის შედეგების შეჯამება. მაშინ ნათლად გამოჩნდება, ვინ როგორ შეასრულა დადებული პირობა, რომელსაც კანონის ძალა აქვს.

და ეს ტრადიციული რთველი, მევენახეთა დიდი დღესასწაული სულ მალე, რამდენიმე კვირის შემდეგ დადგება. ეს იქნება იმის შემოწმებაც, თუ ვინ როგორი წვლილი შეიტანა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. რესპუბლიკის მევენახეებმა უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა გასწიეს ყურძნის უსვი მოსავლის მისაღებად, ხარისხოვანი ქართული სამარკო ღვინოების ღირსების დაცვისათვის. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე ხუთწლედის ოთხ წელიწადში საშუალოდ წელიწადში მზადდებოდა 270 ათასი ტონა ყურძენი. ოთხი წლის განმავლობაში სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდა 156 ათასი ტონა ყურძენი.

ყველა ეს წარმატება მიღწეულია რესპუბლიკის მევენახეთა, ღვინის მრეწველობის მუშაკთა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების კარგი მუშაობით.

საქართველოს ზვრებს, რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი უჭირავს. მევენახეობა მშრომელთა შეძლებულობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ძირითად წყაროს წარმოადგენს. ახობით სახელგანთქმულ მევენახეს მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი და სსრ კავშირის ორდენები და მედლები. ქართული ღვინოები და კონიაკი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მრავალჯერ კავალერი არიან.

მოპოვებული გამარჯვება მაშინ არის საქებო, როცა მას კვლავაც განვამტკიცებთ და შემდგომში ახალ-ახალი წარმატებებით გავამდიდრებთ. ამიტომ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის რთველი სერიოზული გამოცდაა. ეს გამოცდა კი მოახლოვდა. იგი მევენახეობის რაიონების მშრომელებმა წარმატებით უნდა ჩაბარონ.

ახლა გაჩაღებულია რთველისთვის მზადება. წინასწარი მონაცემებით მევენახეები ბარაქიან რთველს მოელიან. მართალია, ისინი იბრძვიან 340 ათასი ტონა ყურძნისათვის, მაგრამ უფრო მეტს გვპირდებიან. „სამტრესტის“ კოლექტივი წელს ვარაუდობს გადაამუშაოს 380 ათასი ტონა ყურძენი. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ტარა-ჭურჭლის, ქვევრების, ახალი ბუტების, ჭაჭის შესანახი აუზების, მანქანა-დანადგარების, ყველა საჭირო ინვენტარის მომზადება. ამ მხრივ დიდი სამუშაოები მიმდინარეობს გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ყვარლის, მცხეთის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, ვანის და მევენახეობის სხვა რაიონებში.

ამ დღეებში დიდი შრომითი აღმავლობაა მევენახეობის თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადებსა და რგოლებში, ღვინის ქარხნებში, რომელთა კოლექტივები დგანან პარტიის XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეთ რთველს.

ამისათვის აუცილებელია გონივრულად მოვაწყოთ შრომა, უზრუნველვყოთ მარნის, მანქანა-დანადგარების, საღვინე ტარა-ჭურჭლის და სხვა ინვენტარის საიმედოდ მომზადება. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ყურძნის ტრანსპორტირების მძლავრი საშუალება — ავტოძარები. ეს ხელს შეუწყობს ნედლეულის სწრაფად, უდანაკარგოდ გადაზიდვას ღვინის ქარხნებში.

ქართული ღვინის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რთველის დროულად და ხარისხიანად ჩატარებაზე. რთველს დაცდა არ უყარს. ეს სამუშაო სამ-ოთხ კვირაში უნდა დამთავრდეს. უნდა გავითვალისწინოთ მოსალოდნელი სიძნელეები, ამინდის პირობები. ყურძენი უნდა ვკრიფოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის ღვინოს ამზადებენ. ამა თუ იმ ტიპის ღვინის დასამზადებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის სიმწიფის განსაზღვრულ სტადიაში რთველის დაწყებას. საჭიროა კრეფის წინ გულდასმით, ზუსტად შემოწმდეს ყურძნის სიმწიფე, შაქრიანობა და მჟავიანობა. დაზიანებულ ვენახში ყურძენი დახარისხებით უნდა მოიკრიფოს.

რთველის დაწყების წინადღეებში ყოვლად დაუშვებელია ვენახის მორწყვა. ეს ღონისძიება თუ საჭირო, უნდა განხორციელდეს რთველის დაწყებამდე ერთი თვით ადრე. თუ ამ წესს დავარღვევთ, მივიღებთ უხარისხო ნედლეულს და შეგლახავთ ქართული ღვინის მარკას.

ამთავითვე მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ არ გამეორდეს შარშანდელი წლის ნაკლოვანებანი. იყო შემთხვევები, როცა ყურძნით დატვირთული ავტომანქანები დღეობით იდგნენ ღვინის ქარხნებთან ყურძნის მიღების მოლოდინში. ამასთან ერთად ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, სახალხო კონტროლის კომიტეტებმა და ჯგუფებმა მჭიდრო კონტროლი უნდა დააწესონ ყურძნის დროულად კრეფის, ჩაბარებისა და ამ ნედლეულის გადამუშავებისადმი. უნდა ვამხილოთ სულ მცირე ბოროტმოქმედების კვალიც კი. ყველგან, ყველა უბანზე უნდა გვყავდეს შემოწმებული, თავისი საქმის მცოდნე და სანდო კადრები.

კიდევ რამდენიმე კვირა და დაიწყება მევენახეთა შრომაში გადამწყვეტი პერიოდი — იმ პატრიოტულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება, ჩვენმა მევენახეებმა რომ იკისრეს სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის შესახვედრად.

ახლა მთავარია სანიმუშოდ ვემზადოთ რთველისათვის, ყოველი ღონისძიებით დავიცვათ ქართული ღვინის ღირსება. კვლავაც ვასახელოთ ჩვენი სამშობლო, მივცეთ ქვეყანას მეტი და მაღალხარისხოვანი, არომატული ქართული ღვინო! ეს არის წელს რესპუბლიკის მევენახეებსა და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების საბრძოლო ამოცანა.

მოსკოვში ჩამოვიდნენ სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და სახელმწიფოთა ხელმძღვანელები

შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მთავრობათა შეთანხმების შესაბამისად იწყობა, მოსკოვში ჩამოვიდნენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკიდან — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ბაშევი;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჰაგერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ალბერტზი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ალბერტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჰაგერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ბეიერლაინი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ალბერტზი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი,

თავისუფალი უნგრეთის 25 წელი

(დასასრული)

რომ განხორციელდა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები. სოციალისტური ქვეყნების ახალი ტიპის ურთიერთობის ძირითადი პრინციპები პატარა და დიდი ქვეყნების ხალხთა თანამშრომლობის ლენინური პრინციპების განხორციელების მკაფიო მაგალითია.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით იგი გულთბილად მიესალმა უნგრელ მეგობრებს — უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ ენე ფოკს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებს, აგრეთვე ყველა უნგრელ მუშასა და სპეციალისტს, რომლებმაც თავიანთი შრომა, თავიანთი ნიჭი მოახმარეს მშვენიერი გამოფენის შექმნას.

უნგრეთის მშრომელები საბრალოლიანად ამაყობენ თავიანთი მიღწევებით, ისინი დარწმუნდნენ, რომ სოციალიზმი შეესაბამება მათს საარსებო ინტერესებს, და ვერავინ ვერ გადაანგევინებს უნგრელ ხალხს არჩეული სოციალისტური გზიდან.

როგორც ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გამოთვლა მოწმობს, რომ უნგრელ მშრომელთა წარმატებანი, ისევე როგორც სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა მშრომელებია წარმატებანი, მნიშვნელოვანწილად შესაძლებელი გახდა ყველა ჩვენი მომავე ქვეყნის მეიდრო ყოველმხრივი თანამშრომლობისა და შეკავშირების წყალობით. ეროვნული ეკონომიკის, კულტურის განვითარებაში, ცხოვრების ორნი, ამაღლებაში უნგრელი ხალხის მიღწევები ამავე დროს მნიშვნელოვანი წვლილია მთელი სოციალისტური თანამეგობრობის, მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძალების, მსოფლიოში მისი დიდი ავტორიტეტისა და გავლენის განმტკიცებაში.

საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს შორის, ორივე ქვეყნის ხალხებს შორის ურთიერთობა განვლილი 25 წლის მანძილზე, აღნიშნა ა. ნ. კოსიგინმა, ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის ნამდვილი ურთიერთობა გახდა. იგი ემყარება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის შეხედულებათა და მოქმედების ერთიანობას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საკითხებში, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნების, მოელი სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიური ძალიერების შემდგომი განმტკიცება, ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესება სულ უფრო მეიდროდ იქნება დაკავშირებული სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის პროცესების განვითარებასთან. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXIII (საიუბილეო) და XXIV სესიების გადაწყვეტილებათა შესრულებამ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ყველა ქვეყანას უსახავს ახალ პერსპექტივებს ეკონომიურ განვითარებაში, მათი ძმური თანამშრომლობის გაფართოებაში.

ა. ნ. კოსიგინმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, მათს მარკსისტულ-ლენინურ მოწინავე რაზმს— უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას უსურვა ახალი გამარჯვებანი და წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებას საქმეში.

ეღერს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ენე ფოკმა გამოფენა გახსნილად გამოაცხადა. სტუმრები ეცნობიან მის ექსპონატებს. (საკდესი).

უნგრეთის საიუბილეო გამოფენაზე

მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე დიდი წარმატებით დაიწყო მუშაობა საიუბილეო გამოფენამ „თავისუფალი უნგრეთის 25 წელი".

21 აგვისტოს გამოფენა დათვალიერეს ამხანაგებმა ბ. ნ. პონომარევმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ი. კელმემ, ი. ვ. ანდროპოვმა, პ. ნ. დემიჩევმა, თ. დ. კულაკოვმა.

გამოფენაზე იყვნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ჟ. ფოკი და სხვა ოფიციალური პირები.

ამხანაგი ი. კადარი, სხვა უნგრელი ამხანაგები და საბჭოთა ხელმძღვანელები დაეწვრილებით გაეცნენ გამოფენის ექსპოზიციას, რომელიც ასახავს უნგრეთის მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ამ საიუბილეო გამოფენაზე ყველაფერი იპყრობს დამთვალიერებელთა ყურადღებას. საინტერესოა მანქანათმშენებლობის განყოფილება, სადაც წარმოდგენილია თანამედროვე ჩარხები, მანქანები, ქიმიური, ლითონდამამუშავებელი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგების მრავალნაირი აღჭურვილობა.

გამოფენაზე უჩვენებენ გამოთვლითი ტექნიკას, კავშირგაბმულობის საშუალებებს, ელექტრონულ, რადიოტექნიკურ და სამედიცინო ხელსაწყოებს. მდიდარი და მრავალფეროვანია სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საჭიროების ასორტიმენტი.

დამთვალიერებლები დიდი ინტერესით ეცნობიან უნგრული ხელოვნების ნაწარმოებებს, განათლების დარგის წარმატებებს. (საკდესი).

დიდმნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად

მოსკოვის მშრომელებმა საზეიმო კრებით აღნიშნეს რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაული. — ფაშისტური ოღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 25 წლისთავი. საზეიმო კრება გაიმართა 20 აგვისტოს საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კულაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი და სხვები.

სტუმართა შორის იყვნენ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში თეოდორ მარინესკო, საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოების დელეგაცია რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრის აკადემიკოს ქრისტოფორ სიმონესკუს მეთაურობით, სხვა რუმინელი ამხანაგები.

მოხსენება გააკეთა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ი. კონოტოპმა.

თაყვის გამოსვლაში თეოდორ მარინესკუმ აღნიშნა საბჭოთა კავშირის, მისი არმიის გადამწყვეტი წვლილი ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლებაში.

ელჩი შეეხო რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ახალი ხელშეკრულების მნიშვნელობას და მას უწოდა მძლავრი იარაღი, რომელიც ახალ პერსპექტივებს ხსნის ორი ქვეყნის ყოველმხრივი ურთიერთობის განმტკიცებისათვის. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოსი-357", „კოსმოსი-358"

1970 წლის 19 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-357". თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელმაც უნდა განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

1970 წლის 20 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-358". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. (საკდესი).

ПРОФКАВШИРУЛИ ОРГАНОЕБИС ANGARIШGEBA-ARCHEVNEBI

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების რწმუნებათა ვადის გასვლის გამო, 1970 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართოს საწარმოთა და დაწესებულებათა პროფკავშირის წევრების საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კონფერენციები. (არ მოიწყობა ამ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ანგარიშგება-არჩევნები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ პროფკავშირის რაიკომების უფლებები). პროფჯგუფორგების, ხაამქრო კომიტეტებისა და პროფბიუროების ანგარიშგება-არჩევნები უნდა გაიმართოს ხელტემბერში.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაავალა მოაწყონ ანგარიშგება-არჩევნები „პროფკავშირული ორგანოების არჩევნების მოწყობილ შესახებ" საკავშირო პროფსაბჭოს ინსტრუქციის შესაბამისად, შეადგინონ და დამტკიცონ ხაანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების მოწყობის კალენდარული გეგმები, უზრუნველყონ ყოველდღიური ხელმძღვანელობა ანგარიშგება-არჩევნების მომზადებისა და მოწყობისადმი.

ხაანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე უნდა შეიქმნას პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში ნაკლოვანებათა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის პირობები. კრებებზე გაანალიზებული უნდა იყოს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა მშრომელთა დასაცავად პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისთვის, სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის.

პროფკავშირული კომიტეტების შემადგენლობაში უნდა აირჩიონ მოწინავე მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, ახალგაზრდობა, რომლებმაც დაიმსახურეს მასების ნდობა.

არჩეულმა პროფკავშირულმა კომიტეტებმა უნდა განიხილონ ხაანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე პროფკავშირთა წევრების მიერ შეტანილი კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი, დასახონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი. (საკდესი).

ქედის რაიონის მეთამბაქოეები წარმატებით იბრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მოწინავეთა რიგებშია სოფელ წონიარისის კოლმეურნეობა. აქ კარგად მიმდინარეობს თამბაქოს მოსავლის აღება. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა პირველმა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ჯ. ბერიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ შეტანა და ანიმა 32.000 ზონარმეტრზე მეტი თამბაქო. ს ტ რ ა ი ზ ე: ჯ. ბერიძე ამოწმებს შესატანი თამბაქოს ხარისხს.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოკორონიკა).

DAVACHKAROT MOSAVLIS ADEGA

CHVENI MIMOKHILVA

ახლა რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს ბევრი საზრუნავი აქვთ. მალე დამთავრდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. გაჩაღებულია სიმინდის, მზესუმზირას, ეთერზეთოვანი კულტურების, თამბაქოს, კარტოფილის მოსავლის აღება, საშემოდგომო თესვისათვის მზადება, მზრალად ხვნა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ? ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობები გვაუწყებენ, რომ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებულია 145.854 ჰექტარი, ანუ გეგმის 79 პროცენტი. მკის სამუშაოებმა უკვე მთიან რაიონებში გადაინაცვლა. ახალქალაქის რაიონში ასაღებია 12.912 ჰექტარი, მომეკლია 561 ჰექტარი. ახალციხის რაიონში მკის დავალება შესრულებულია 95 პროცენტით, ადიგენის — 81, ასპინძის — 42, დმანისის — 50, თიანეთის — 46, ხოლო წალკის რაიონში — 3 პროცენტით.

მაპობრივად გაჩაღდა სიმინდის აღება. სულ ასაღებია 201.635 ჰექტარი, აღებულია 7.573 ჰექტარი, წითელწყაროს რაიონში სიმინდის აღების დავალება შესრულებულია 48 პროცენტით, სიღნაღის — 21 პროცენტით, გურჯაანის — 14 პროცენტით. ამ სამუშაოს შეუდგნენ მარნეულის, ბოლნისის, მცხეთის, ახმეტის, ყვარლის რაიონებში. დასავლეთ საქართველოს რაიონებში სიმინდის აღებას ამ დღეებში შეუდგებიან.

გეგმით მზესუმზირა ასაღებია 16.549 ჰექტარზე. უკვე აღებულია 6.670 ჰექტარი. წიფლიწყაროს რაიონში უნდა აიღოს 8.775 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 55 პროცენტით, სიღნაღის რაიონში — 42 პროცენტით. ეს სამუშაო უნდა დაჩქარდეს, რათა მას შემოდგომის თესვამ არ მოუსწროს.

დაიწყო კარტოფილის ამოღების სამუშაოები. გეგმით გათვალისწინებული 13.185 ჰექტარიდან კარტოფილი აღებულია 609 ჰექტარზე. ეს სამუშაო დაწყებულია ახალციხის, თეთრი წყაროს, ბორჯომის, ბოლნისის, გარდაბნის და სხვა რაიონებში. დმანისის რაიონში დავალება შესრულებულია 91 პროცენტით.

დღითიდღე მატულობს თამბაქოს შეტეხის ტემპი. სულ შეტეხილ უნდა იქნას 156.100 ათასი ზონარმეტრი თამბაქო. ფაქტიურად შეტეხილია გეგმის 38 პროცენტი. **აფხაზეთში** უნდა შეტეხონ 74.700 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, შეტეხილია 30.368 ათასი ზონარმეტრი, **აჭარაში** შეტეხეს 10.647 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, გეგმით კი უნდა შეტეხონ 21 მილიონი ზონარმეტრი.

თამბაქოს შეტეხის დავალება **ბოლნისის** რაიონში შესრულებულია 44 პროცენტით, **ლაგოდეხის** — 34, ხოლო **მარნეულის** რაიონში — 24 პროცენტით.

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ყველა ზომა უნდა მიგიღოთ იმისათვის, რომ დროულად, წარმატებით შესრულდეს ეს სამუშაოები.

РЕДАКЦИИСА ВЕРИЛИ

როცა სპეციალობას ირჩევ...

ჩვენს პრესაში ხშირად შეხვდებით წერილებს შრომის გმირების, კოსმოსის ამთვისებლების, გამოჩენილი მათემატიკოსების, ფიზიკოსების, ისტორიკოსების, სახელოვანი მკურნალების, კულტურის ფრონტის მოღვაწეების შრომისა და ცხოვრების შესახებ. ამით მათი მოღვაწეობა მისაბაძი ხდება. ჩვენი ახალგაზრდობის უმეტესობა აქედან იღებს გეზს — რომელი პროფესია აირჩიოს და რა საქმეს მიუძღვნას თავისი ცხოვრების წლები.

მაგრამ როგორც გაზეთების ფურცლებზე, ისე რადიოსა და ტელეგადაცემებში იშვიათად თუ მოისმენთ საუბარს გამოჩენილი ეკონომისტის, ფინანსისტის, სტატისტიკოსის, ბუღალტრის საქმიანობაზე, მათს სანტერესო შრომაზე. იქნებ ამიტომაც ძალიან ცოტა ან სრულიად არ მოიძებნება მოსწავლე-ახალგაზრდა, რომელიც თავიდანვე აირჩევს ეკონომისტის, ფინანსისტისა, განსაკუთრებით კი ბუღალტრის სპეციალობას. ეს მაშინ, როდესაც არ არსებობს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის რომელიც განეკუთვნოს დარგის მცირე ობიექტიც კი, სადაც უაღრესად საჭირო არ იყოს ეკონომიკის დარგის სპეციალისტი, მისი საქმიანობა მჭიდროდ არ იყოს დაკავშირებული მრავალდარგოვან სახალხო მეურნეობასთან.

ეკონომიკის დარგის მუშაკების — ეკონომისტების, ფინანსისტების, აღრიცხვის მუშაკების, ბუღალტრების შრომის გამოუკენებლად წარმოუდგენელია თანამედროვე გემომშენებლობა, მანქანათმშენებლობა, რაკეტული ტექნიკა, სახალხო მეურნეობა, როგორც მომავლისა, ისე გადამმუშავებელი დარგების საქმიანობა. ისინი ამ დარგებში მოღვაწეობენ იმისათვის, რომ გონივრულად წარმართონ შრომა, მეტი ეფექტი მიიღონ ნაკლები ენერგიის დახარჯვით, დაზოგონ მატერიალური და ფინანსური სახსრები, ესე იგი დაგეგმონ ადამიანთა ერთობლივი შრომა, ააწყონ და წარმართონ ამა თუ იმ კოლექტივის მიზანშეწონილი, თანმიმდევრული საქმიანობა ოპტიმალური ეფექტიანობის მისაღებად, აღრიცხონ, დანიშნულებაში და მოგებირნეობით გამოიყენონ მატერიალური და შრომითი რესურსები, აღკვეთონ უყაირათობა და ბზა უჩვენონ უხვი დოვლათის შესაქმნელად.

ეკონომისტის, ფინანსისტის, ბუღალტრის პროფესია ჩვენს დროში კი არ შექმნილა, იგი დასაბამიდანვე არსებობდა, კერძოდ იმ დროიდან, როცა ადამიანთა ერთობლივი შრომა ჩამოყალიბდა. მორეულ ისტორიულ წარსულშიც მათს შრომას ყოველთვის ჰქონდა სასარგებლო გამოყენება სხვადასხვა სახითა და სახელწოდებით. ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მათი საქმიანობის მნიშვნელობა უფრო აკიაზარდა, გაფართოვდა და ცალკე დამოუკიდებელ სპეციალობებად იქცა.

არიან სპეციალისტები, რომლებსაც სჯერათ, რომ ყოველგვარი ტექნიკური სიახლე ეკონომიური და პროგრესულია და იგი შეუმოწმებლადაც კი მისაღებია. ეს რომ ასე არ არის, ამას გვიჩვენებს ქ. მოსკოვის ი. ლიხაჩოვის ავტოქარხნის ბაგალითი, სადაც ახალ სამეურნეო რეფორმაზე გადასვლის შემდეგ შეიქმნა სპეციალური ტექნიკურ-ეკონომიურ განსაგრძობითა ბიური. ამ ბიუროს განსაზღვრულად არ მიიღო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის და მთავარი ტექნოლოგის განყოფილების მთელი რიგი ტექნიკური სიახლეების შეკვეთება, როგორც ეკონომიურად გაუმართლებელი და არაეფექტური. ამით ქარხანას მარტო წლის პირველ ნახევარში ნაშეკარი მილიონი მანეთი ზარალი აცდენოდა.

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად ეკონომიკის დარგის ათასობით სპეციალისტს ამზადებს, მაგრამ მათ ეკონომიკის საკითხებზე წინასწარი მომზადება არა აქვთ. ყველაფერიდან ჩანს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან ახალგაზრდობას არ მოაქვს ამ სპეციალობათა დაუფლების სურვილი და მიდრეკილება. იგი კარგად იცნობს მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიის ურთულეს კანონებს, ლიტერატურას, ისტორიას, ანატომიას, ბიოგრაფიის ძირითად საკითხებს, მაგრამ ზოგადდაც ვერ ეერკვევა ისეთ საკითხებში, როგორიც არის წარმოების მოწყობა და მისი სტრუქტურული აგებულება, წარმოების ტექნიკური დანორვრა, საგარეფო სისტემა, შრომის ანაზღაურების წესი, პროდუქციის თვითღირებულება, სამეურნეო ანგარიში დანერგვა, ახალი ეკონომიური რეფორმის ძირითადი არსი და სხვ.

ვფიქრობთ, ეს გარემოება ამოცანად სახავს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემოღებულ იქნას ეკონომიკის ზოგადი კურსის სავალდებულო სწავლება, რა ფორმით — ამ საკითხს სპეციალური შესწავლა და დამუშავება დასჭირდება.

საჭირო იქნება შეიქმნას დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებითაც ისარგებლებენ აგრეთვე რესპუბლიკის ტექნიკუმები და პროფტექნიკური სასწავლებლები. უნდა შეიტანდეს და გამოიცეს ეკონომიური ხასიათის მონოგრაფიული ნარკვევები რესპუბლიკის მოწინავე კოლექტივების ეკონომიური ცხოვრებიდან. ადრე იყო აგრეთვე მოსაზრებები, რომელთა მიხედვით წერილობით უნდა ასახულიყო მოწინავე ფაბრიკა-ქარხნების შექმნისა და განვითარების ისტორია, რაც, სამწუხაროდ, ბევრგან მიიგიწყეს.

გაუმჯობესებას მოითხოვს აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიური დისციპლინების სწავლების საქმე. მოწესრიგებული არ არის ჩვენი სპეციალობის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებთან, ეკონომისტებთან, ბუღალტრებთან, ფინანსისტებთან, ხოლო დღევანდელი ფორმა ამ კავშირისა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ზრუნვა, ფურადღება ესაჭიროება ეკონომიური სპეციალობის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას, რამაც უფრო მეტად უნდა დაახლოოს მოსწავლე ახალგაზრდობა საწარმოო ობიექტების უშუალო საქმიანობასთან.

რესპუბლიკის ეკონომიური სწავლების კერები უფრო მეტად უნდა აღიჭურვოს თანამედროვე გამოთვლითი საანგარიშო ტექნიკით, საჭირო წარმოებაში არსებული ეკონომიურ-ნორმატიული ლაბორატორიების ბაზაზე შეიქმნას სამინისტროების, უწყებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ერთობლივი დარგობრივი საკვლევი ლაბორატორიები, რაც მომავალში უნდა გადაიქცეს უმაღლესი სასწავლებლების წარმოებასთან კავშირის განმტკიცებისა და ეკონომიური თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის ძირითად დასაყრდენ პუნქტად.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი უბანი, სადაც ახალგაზრდობას თავისი შემოქმედებითი შრომით უდიდესი წვლილი არ შეეტანოს. მივეცეთ ახალგაზრდებს ფართო ეკონომიური ცოდნა, და ისინი სახელოვანი შრომით სიტყვას-ამ უბანზეც იტყვიან.

ი. შანიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

„КОМУНИСТИС" СИГНАЛИС ШЕМДЕГ

აფთიაქი... კერძო ბინაში

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილთან დაკავშირებით ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. გიორგობიანმა რედაქციას აცნობა:

წერილში „აფთიაქი... კერძო ბინაში" აღნიშნული შაქტები სინამდვილეა. სოფელ ბრესლიში აფთიაქის მშენებლობა წლობით გაჭიანურდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შეიცვალა ტყიბულის სარემონტო უბნის ხელმძღვანელობა, აფთიაქის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, იგი დამთავრდება მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის.

უპატრონო მშენებლობა

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელიც შეეხებოდა სოფელ აწყურთან მდინარე მტკვარზე ხიდის მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილემ ფ. კახიძემ რედაქციას აცნობა:

წერილი განხილულ იქნა ა. წ. 30 ივლისს სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხიდის მშენებლობა მიმდინარე წელს დამთავრდეს. თუ დაკვეთი — სოფლის შეურნეობის სამინისტრო გამოყოფს საჭირო დამატებითს რესურსებს. უკანასკნელს ამის შესახებ ეცნობა.

უმოქმედო ტელევიზორები...

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა მკითხველის სიგნალი კომინტარით, რომელიც ეხებოდა სიღნაღის რაიონის ზოგიერთ უბანში ტელეგადაცემათა სარისხის გაუარესების საკითხს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკური რადიოსატელევიზიო გადამცემი სადგურის უფროსი ვ. სალიბაშვილი რედაქციას აცნობინებს:

ქ. სიღნაღში ძველი ტელესადგური აღდგენილია და გადაცემულია ექსპლოატაციაზე. ამრიგად, სიღნაღის რაიონს ემსახურება ნუკიანების მეთორმეტე და სიღნაღის მეცხრე არხებზე მომუშავე ორი ტელესადგური, რომლებიც რაიონის მთელ მოსახლეობას საკმარისი დაეყოფინებენ ტელეგადაცემებით.

საფლესე კირქვების კარიერებზე

ქუთაისის მეტალურგიული ქარხნის საფლესე კირქვების მაღაროთა სამმართველო, რომელიც ერთ-ერთი დიდი საწარმოა წითელწყაროს რაიონში, სხვადასხვა ზომის ნამსხვრევი კირქვებით ამარაგებს როგორც ქუთაისის მეტალურგიულ ქარხანას, ისე თბილისს, სოფლელოის, ალჭრეთისა და ნავთლუღის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების, აეროპორტ სილიკატური აგურის, ქუთაისის ცემენტის ქარხნებსა და სხვა საწარმოებს.

ამ დიდი ქარხნებისა და საწარმოების რიტმული მუშაობა დამოკიდებულია კირქვების მაღაროთა სამმართველოს შეუფერხებელ და ზამთარ მუშაობაზე. თავის მხრივ, ეს ახალგაზრდული კოლექტივი ყველა ზომას ხმარობს, რათა ხელშეკრულებას თანახმად, აღნიშნულ საწარმოებს მიაწოდოს მაღალხარისხოვანი ნედლეული.

საწარმოში განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები პროდუქციის სტანდარტის დაცვისა და ხარისხის ამაღლებისათვის. შედეგებიც კარგია. მაღაროთა სამმართველოს შარშან და მიმდინარე წელს არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია გაგზავნილი პროდუქციის უხარისხობის გამო.

როგორც სამმართველოს, ისე დამკვეთი ორგანიზაციების მუშაობაში შეფერხებას იწვევს დანიშნულების ადგილზე ნედლეულის გადაუზიდველობა. საქმე ეხება დაგეგმილი სარკინიგზო გადგომების მიწოდებას, რის გრაფიკიც ხშირად ირღვევა. ცხადია, ეს იწვევს ძირითადად გეგმის შეუსრულებლობას და მუშათა კანონიერ უკმაყოფილებას.

ეს საკითხი ქმის მნგრეველთა და სიმსხვრევა-დამხარისხებელი საამქროების მუშაკთა მწვავე მსჯელობის საგანი გახდა კრებაზე, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი „სანალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ". კრების გადაწყვეტილება აცნობებს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, ამას თავისი შედეგი მოჰყვა. მოწესრიგდა სარკინიგზო ვაგონების მიწოდება, მუშაობა შეუფერხებლად წარიმართა. სამთო მოპოვების ზვიდი თვის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით, სასაქონლო პროდუქციის წარმოების დავალებაც განადღებულია.

დირექცია და პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ შრომის სწორი ორგანიზაციისა და დისციპლინის საკითხებს, ამხელებენ და სათანადო ღონისძიებებს ახორციელებენ იმათ მიმართ, ვინც უმიზეზოდ აცდენს სამუშაოს, ლოთობს, უშვებს წუნს, უყაირათოდ და უსულგულოდ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. საგრძნობლად გაუმჯობესდა ავტომანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების მომარაგება და გამოყენება, შეკეთდა და ალიჩის ელნათურებით განათდა სამანქანურტუტ გზა. მოეწყო მანქანების საწვავით გასაწყობი დანადგარი და სხვ., რაც მნიშვნელოვანი მარტო აფერხებდა წარმოებას, არამედ ამცირებდა შრომის ნაყოფიერებასაც, ზრდიდა პროდუქციის თვითღირებულებას.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო სიმძლავრეთა გაფართოებასთან დაკავშირებით დასმულ იქნა საკითხი წითელწყაროს საფლესე კირქვების მაღაროთა სამმართველოში აშენებულიყო მეორე სამსხვრევ-დამხარისხებელი ფაბრიკა. მაგრამ საკითხის ფაბრიკა. მაგრამ საკითხის ფაბრიკის ადგილზე შესწავლით, არსებულ სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებითა და ზოგიერთი დანადგარის რეკონსტრუქციის შედეგად შესაძლებელი ფაბრიკის წარმადობის გადიდება, რითაც მოლანდად დაკმაყოფილდება მოთხოვნილება. საჭირო იქნება ახალი ფაბრიკის აშენება. ახლა საჭიროა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობამ დაიჩქაროს სარეკონსტრუქციო სამუშაოთა გადასინჯვა და დამტკიცება.

ვლ. მჟედლიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

მსოფლიო დღეს

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მთავრობა

პრაღა, 19 აგვისტო. (საკდისი). უწიგნურობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის გამო, რომელიც 1970 წლის 8 სექტემბერს გაიმართება, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა მიმართვა მთელი მსოფლიოს პროფკავშირული მუშაკებისა და მშრომელებისადმი.

უვიცობა და სუსტი განვითარება, რაც მეზეკვიდრეობად დაგვიტოვა კოლონიალიზმმა და რასაც ხელს უწყობს ნეოკოლონიალიზმი, უნდა აღმოიფხვრას, ნათქვამია მიმართვაში. ახალი ეფექტის შეძენა მეცნიერების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ლარგში მოითხოვს მასების განათლების უფართოეს პროგრესს, უწინარეს ყოვლისა საყოველთაო სწავლების გზით.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია შეიქმნის დღიდან იბრძვის უწიგნურობისა და უვიცობის წინააღმდეგ, საყოველთაო განათლებისათვის.

1970 წლის 8 სექტემბრის დღე, ხაზგასმულია მიმართვაში, ხელს შეუწყობს უწიგნურობის ლიკვიდაციისათვის კამპანიის გაჩაღებას, თავიანთი მოქმედებით პროფკავშირული [illegible] — [illegible] ნას ეროვნულ [illegible] — [illegible] ნას ეროვნულ [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული [illegible] ეროვნული

საქართველოს ქალაქ-რაიონში

დამსახურებული პრემია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტმა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეიჯამეს კინოსტუდიებისა და გადამღები ჯგუფების 1970 წლის მეორე კვარტალის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და მესამე ფულადი პრემია მიანიჭეს საქართველოს მეცნიერულ-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიას. (საქდინი).

მეშახტეთა სახელობის ქუჩები

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულის ქვანახშირის საბადოს გაერთიანებაში თავისი წვლილი შეიტანა ენერგეტიკამ სამთო სპეციალისტმა შალვა მოსეს-ძე ციერეკიძემ. შრომითი საქმიანობა მან შახტის ფარალო მოშიდან დაიწყო და ტრესტის მმართველი გახდა. შ. ციერეკიძის უშუალო მონაწილეობით აშენდა საბადოს სამი დიდი შახტი და მრავალი სამთო პორიზონტი.

ნათელი და სახელოვანი ცხოვრების გზა განვლო საქართველოს სსრ დამსახურებულმა ინჟინერმა ბორის დარისპანის-ძე ჯალიაშვილმა. საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ იგი ტყიბულში მოვიდა. წლების განმავლობაში მუშაობდა საექსპლოატაციო უბნის ოსტატად. შახტის მთავარ ინჟინრად. სიცოცხლის ბოლო პერიოდში იგი სტალინის სახელობის შახტის ოსტატი იყო.

ამ ღვაწლმოსილ ადამიანებს როდი ავიწყებენ მადლიერი მეშახტეები. ამ დღეებში მათი სახელები ქალაქის სამ ქუჩას მიეკუთვნა.

დიდი მოგებები

ახალციხე. (საკ. კორ.). პენსიონერმა ნადია კონსტანტინეს ასულმა ახლადდიანმა ახალციხის ცენტრალურ შენნახველ სალაროში წარადგინა სამპროცენტიანი სახელმწიფო სესხის ობლიგაცია № 15 სერია 145919, რომელსაც გათამაშების 30-ე ტირაჟში მოგებად ხვდა 2.500 მანეთი.

2.500 მანეთი მოგება ხვდა ბერეთვი სოფელ ვალეს კოლმეურნეობის მოანგარიშის ავთანდილ გიორგაძის სამპროცენტიანი სახელმწიფო მოგებიანი ხელსწავლა 149333 სერიის № 12 ობლიგაციის ბილეთს.

ონი. № 10 სამკერდაღო ფაბრიკის მოსამსახურემ თამარ დავითის ასულმა შიშნელაშვილმა სამპროცენტიანი სახელმწიფო შინაგანი მოგებიანი ხელსწავლა 196357 სერიის № 13 ობლიგაციის 20-მანეთიანი ბილეთით 31-ე ტირაჟში მოიგო 2.500 მანეთი.

დ. ხახიაშვილი.

ჯანმრთელობის სადარაჯოზე

ბოლოდროინდელ ხანებში ბევრ ადგილას ბავშვებს ეფეთქებოდა ხელში ნაღმი, ან ყუმბარა. ეს ბავშვები ომის ბავშვები იყვნენ. ომის